სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/141

ქ. თბილისი

15 სექტემბერი 2020 წ.

„2020-2021 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების შესახებ“ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-04/125 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის შესაბამისად, ფაკულტეტების დეკანების მოხსენებითი ბარათებისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 15 სექტემბრის №01-5-02/24 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეტანილი იქნეს ცვლილება „2020-2021 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების შესახებ“ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს 01-05-04/125 დადგენილებაში და დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული სახით (დანართი 1)
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი — ი. კუტუბიძე